



საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA

საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ძ. ნა, ტელ: 72-72-00, 72-72-20 ფაქსი: 72-72-37,

ლიცენზიებისა და ნებართვების
სამსახურის უფროსი

ნიკოლოზ

(სახელი)

(გვარი)



ეკოლოგიური ექსპერტიზის
დასკვნა პროექტზე

№ 23

16 მაისი 2008წ.

I. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება – ქვანახშირის გამამდიდრებელი საწარმო
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი – შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“. თბილისი, დელისის მე-3 შესახვევი №22, V სართული
3. განხორციელების ადგილი – ქ. ტყიბული
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 18.04.08.
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – სამეცნიერო კვლევითი ფირმა

„გამა“. მ. ალექსიძის ქ. 9

II. პირითადი საპროექტო გადაწყვეტილება

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი „ქვანახშირის გამამდიდრებელი საწარმო“-ს საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად საქმიანობის განხორციელება გათვალისწინებულია ქ. ტყიბულში, მდ.ტყიბულას მარჯვენა სანაპიროზე, ყოფილი ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის ტერიტორიაზე.

უახლოესი საცხოვრებელი სახლი სამშენებლო მოედნიდან დაშორებულია 80-100 მეტრით.

საქმიანობის მიზანია თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარებით აღჭურვილი გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობა და „ა. ძიმიგურისა“ და „ე. მინდელის“ სახელობის შახტებში მოპოვებული რიგითი ქვანახშირის გამდიდრება გრავიტაციული სველი მეთოდით.

საწარმოს ბიზნეს გეგმის თანახმად საქმიანობის პირველ წელს დაგეგმილია 350 000 ტონა ნედლეულის გადამუშავება, მომდევნო სამი წლის განმავლობაში 500 000 ტ/წ, ხოლო შემდეგ 1 200 000 ტ/წ. საწარმოს ამოქმედების შემდეგ შესაძლებელი იქნება შესაბამისად 280 000 ტ/წ, 400 000 ტ/წ. 960 000 ტ/წ. მაღალი თბოუნარიანობის (5600-6200 კკალ) მქონე ქვანახშირის კონცენტრატის წარმოება.

საწარმოს საერთო ფართობი შეადგენს 3,44 ჰა-ს, საიდანაც 2,4 ჰა უკავია უშუალოდ გამამდიდრებელ საამქროს. დანარჩენ ფართობზე განთავსებულია გამწმენდი ნაგებობა და სარკინიგზო ხაზები.

საწარმო იმუშავებს სამცხლიანის სამუშაო დღის რეჟიმით წელიწადში 340 დღეს.

პროექტის თანახმად რეკონსტრუქციის შემდეგ საქმიანობისთვის გამოყენებული იქნება ყოფილი გამამდიდრებელი ფაბრიკის („ცოფი“-ს) შენობა-ნაგებობების ნაწილი: ქვანახშირის მიძღები ორმო, მიწისქვეშა დახრილი და ჰორიზონტალური გვირაბები, საწარმოო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობი და წყალმომარაგების სისტემა. სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებით გათვალისწინებულია დახრილი და ჰორიზონტალური გვირაბებიდან წყლის ამოტუმბვა და მათ შლამისაგან გასუფთავება და საწარმოო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობიდან (ჰორიზონტალური სალექარები საერთო მოცულობით 10 000მ³) „ცოფი“-ს მუშაობის პერიოდში დაგროვილი 7 000 ტონა შლამის ამოღება. მათი გაუწყლოვანება მოხდება მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილ მყარი საფარის მქონე მოედანზე. გამოშრობის შემდეგ სარკინიგზო ვაგონების საშუალებით გადაიზიდება ცემენტის საწარმოებში.

ქვანახშირის გამამდიდრებელი საამქრო განთავსდება ახალ შენობაში, სადაც დამონტაჟდება ტექნოლოგიური პროცესისათვის საჭირო თანამედროვე მოწყობილობა-დანადგარები. ცალკე შენობაში განთავსდება სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი და სხვადასხვა დანიშნულების კონვეიერები.

წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად ქვანახშირის გამდიდრებისთვის ტექნოლოგიური სქემა აერთიანებს შემდეგ ოპერაციებს: ნედლი ნახშირის მიღება და ბუნკერებში ჩაყრა, სამსხვრევ საამქროში მიწოდება, გაცხრილვა, დამსხვრევა, დაყოფა კლასებად სიმსხოს მიხედვით, ცალკეული კლასების სეპარაცია მძიმე სუსპენზიებში, რომლებიც იქმნება მაგნეტიტის დამატებით. გამდიდრებული ნახშირის გაუწყლოვნება, კულების დასაწყობება, სუსპენზიის რეგენერაცია. გამოიყენება გრავიტაციული სველი მეთოდი, რომელიც მიმდინარეობს სეპარატორში მძიმე სუსპენზიის პრინციპის გამოყენებით.

წარმოდგენილ ანგარიშში არსებული ბუნებრივი ფონის გათვალისწინებით მოცემულია გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობისა და საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში.

ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება დაკავშირებულია დღის საათებში ხმაურის გავრცელების მომატებასთან. ამასთან, ეს ზემოქმედება იქნება მოკლევადიანი, რადგან სამშენებლო სამუშაოების დამთავრება პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია 4 თვეში.

ანგარიშის თანახმად სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობის (საექსკავაციო, საბუღალტრო, სატრანსპორტო და საშემდგომლო სამუშაოები) და შემდეგ საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში საცხოვრებელი ზონის საზღვართან ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაციის გადაჭარბება არ აღინიშნება.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში ხმაურის გავრცელების წყაროა ნედლეულის, მზა პროდუქციისა და ფუჭი ქანების ჩატვირთვა-გადმოტვირთვის უბნები, სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარი, სხვადასხვა სახის კონვეიერები, ავტოტრანსპორტის და სარკინიგზო შემადგენლობის მოძრაობა. საწარმოში გამოყენებული დანადგარების საპასპორტო მონაცემების მიხედვით ხმაურის დონეები პერყეობს 85-95 დბA ფარგლებში. ანგარიშში მოცემული ხმაურის გავრცელების გაანგარიშების თანახმად საღამოსა და ღამის საათებში საცხოვრებელი ზონის საზღვარზე ხმაურის ზემოქმედება ნორმის ფარგლებშია.

პროექტის თანახმად გარემოში და საცხოვრებელ ზონაში ხმაურისა და მტვრის შემცირების მიზნით ყველა კონვეიერი განთავსდება სპეციალურ გარსაცმში და ქვანახშირის მიმღები ორმო გადაიხურება 4მ. სიმაღლის მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობით. ნაგებობის და საამქროს ჩრდილოეთის მხრეს მოეწყობა ყრუ კედლები, რომელთა შიდა ზედაპირი დაიფარება 120მმ სისქის ხმაურსაიზოლაციო მინერალური ბამბის ფილებით (Π-75). ანგარიშის თანახმად აღნიშნული ღონისძიება უზრუნველყოფს ხმაურის გავრცელების შემცირებას 30-40 დბა-ით.

საქმიანობაში გამოყენებული ტექნოლოგიური სქემა დაკავშირებულია დიდი რაოდენობით წყალმომარებასთან. პროექტის თანახმად საწარმოში გამოიყენება ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა. ტექნიკური წყლის აღება სატუმბი სადგურის საშუალებით განხორციელდება მდ. ტყიბულადან. გამამდიდრებელი საამქროს ტექნოლოგიურ დანადგარებს წყალი მიეწოდება სუფთა წყლის რეზერვუარებიდან.

საწარმოს სიმძლავრის გათვალისწინებით საქმიანობის პირველ წელს საჭირო იქნება 1 050 000მ³ წყალი, მომდევნო სამ წელიწადში 1 500 000მ³/წ და სრულ საპროექტო სიმძლავრეზე გადასვლის შემთხვევაში 3 600 000მ³/წ.

ტექნოლოგიურ პროცესში წყლის ბუნებრივი დანაკარგების შევსება მოხდება მდ. ტყიბულადან. ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის გათვალისწინებით მდ. ტყიბულადან ამოღებული იქნება ტექნოლოგიური პროცესისათვის საჭირო წყლის 25%.

საწარმოს სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება გათვალისწინებულია ქ. ტყიბულის წყალსადენის ქსელიდან წელიწადში 1 440 მ³-ის ოდენობით (საჭიროების შემთხვევაში სასმელად გამოყენებული იქნება ბუტილირებული წყალი).

გამამდიდრებელი საამქროს ტერიტორიაზე (ფართობი 2,4ჰა) გათვალისწინებულია სანიაღვრე წყლების გამწმენდი სისტემის მოწყობა. ანგარიშის თანახმად საწარმოს ტერიტორიაზე 1 სთ-ის განმავლობაში მოსალოდნელია 79,2 მ³ სანიაღვრე წყლის წარმოქმნა, რომელიც ჩართული იქნება საწარმოს ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობაში.

სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების გატანა გათვალისწინებულია ქ. ტყიბულის მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით. სახიფათო ნარჩენების (საღებავების ნარჩენები, ნავთობპროდუქტებით და ზეთებით დაბინძურებული ჩვრები, სატრანსპორტო საშუალებებისა და სამშენებლო ტექნიკის გამოყენებული ფილტრები) დროებით განთავსება გათვალისწინებულია სამშენებლო მოედანზე სპეციალურ თავდახურულ და მარკირებულ კონტეინერებში, რომელიც დაგროვების მოცულობის მიხედვით გატანილი იქნება გაუვნებლობისათვის შესაბამისი ნებართვის მქონე ქვეკონსტრუქტორის მიერ.

საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში წარმოქმნილი საწარმოო ნარჩენის (ფუჭი ქანების) განთავსება 240 000ტ/წ. ოდენობით გათვალისწინებულია ფუჭი ქანების სანაყარეზე. მათი ტრანსპორტირება მოხდება ავტოტრანსპორტის საშუალებით მხოლოდ დღის საათებში. ფუჭი ქანების სანაყარეს მოწყობა დაგეგმილია მდ. ტყიბულას მარჯვენა სანაპიროზე, საწარმოდან 1,5 კმ-ის დაცილებით 3,5 ჰა ფართობის აუთვისებელ ტერიტორიაზე. სანაყარეს ტერიტორია უახლოესი საცხოვრებელი სახლებიდან დაშორებულია 200-250 მეტრით. სანაყარეზე შეტანილი ფუჭი ქანის მოსწორება მოხდება ბულდოზერით. სანაყარეს ტერიტორიიდან მდ. ტყიბულაში სანიაღვრე

წყლების ჩადინების თავიდან აცილების მიზნით, მდინარის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ გათვალისწინებულია 2,0-2,5 მეტრის სიმაღლის მიწაყრილის მოწყობა. სანაყარეს ექსპლუატაციით გამოწვეული უარყოფითი ვიზუალური ეფექტის შერბილების მიზნით გათვალისწინებულია სანაყარეს პერიმეტრის გამწვანება ხე-მცენარეების ენდემური ჯიშებით.

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ჰორიზონტალურ სალექარში დაგროვილი შლამი (25 000ტ/წ.) გამოშრობის შემდეგ გამოყენებული იქნება ცემენტის წარმოებაში. სალექარიდან ამოღებული შლამის გაშრობა მოხდება მიმდებარე ტერიტორიაზე, ღია ცის ქვეშ მოწყობილ მყარი საფარის და ღრენაჟის მქონე მოედანზე. საყოფაცხოვრებო ნარჩენის (43,8 მ³/წ.) გატანა გათვალისწინებულია ქ. ტყიბულის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე. საწარმოო ჩამდინარე წყლები (2700000მ³/წ.) მიერთებული იქნება არსებულ რეაბილიტირებულ გამწმენდ ნაგებობაზე, რომლის საერთო მოცულობა შეადგენს 10 000 მ³. გამწმენდი ნაგებობის გავლის შემდეგ გაწმენდილი წყალი დაბრუნდება საწარმოო პროცესში.

სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩართვა (1152მ³/წ.) გათვალისწინებულია ქ. ტყიბულის საკანალიზაციო კოლექტორში.

წარმოდგენილ ანგარიშში გათვალისწინებულია შემარბილებელი ღონისძიებები საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პერიოდში. საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში გარემოს თავდაპირველ მდგომარეობამდე აღდგენის გზები და საშუალებები. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების სახით გამამდიდრებელ საამქროში გათვალისწინებულია ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის სისტემისა და სახანძრო ჰიდრანტების მოწყობა, ქაფწარმოქმნელი საშუალებების მარაგის შექმნა და ქაფწარმოქმნელი გენერატორების შექმნა.

ყველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნები ასახულია წინამდებარე დასკვნის III თავში.

III. პირობები

1. შპს „საქართველოს ენერგეტიკული კორპორაცია“ ვალდებულია:


- საქმიანობა განახორციელოს გზშ ანგარიშით წარმოდგენილი ტექნოლოგიური რეგლამენტის შეზღამისად;
- საქმიანობის დაწყებამდე საწარმოში გამოყენებული დინამიკური დანადგარები დააკომპლექტოს ვიბრაციის მაიზოლირებელი საშტატო ამორტიზატორებით;
- საქმიანობის დაწყებამდე ფუჭი ქანების სანაყარედან ხშირი წვიმებისა და ღვარცოფების დროს მდ. ტყიბულას დაბინძურების თავიდან ასაცილებლად მიწაყრილთან ერთად მოაწყოს ჯებირი; სანაყარეს პერიმეტრის გამწვანება განხორციელოს რევიონისთვის დამახასიათებელი, არაინვაზიური სახეობებით;
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ფუჭი ქანების ტრანსპორტირებისთვის გამოიყენოს თანამედროვე, შედარებით დაბალი ხმაურის წარმომქმნელი ავტომობილები;
- საქმიანობის დაწყებამდე გამამდიდრებელ საამქროში და და სხვა დახურულ სამუშაო ადგილებში მოაწყოს გამწოვი ვენტილაციის სისტემები;
- განხორციელოს გზშ ანგარიშით წარმოდგენილი გარემოს დაცვითი მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები;
- საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლამდე განახორციელოს სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის გამოყენებული ტერიტორიის კეთილმოწყობა. საცხოვრებელი ზონის საზღვარზე მოაწყოს ხე-მცენარეების დამცავი ზოლი;
- საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლიდან 3 თვის განმავლობაში უზრუნველყოს გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმისა და ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება; მონიტორინგის გეგმაში გათვალისწინებული იქნას საწარმოს ექსპლუატაციისას სრული აკუსტიკური ანგარიშის ჩატარება; აღნიშნული გეგმები შეთანხმდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან;
- უზრუნველყოს საწარმოში დასაქმებული მუშაკების წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმება;

IV. დასკვნა

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი „ქვანახშირის გამამდიდრებელი საწარმო“-ს საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაზღვრელია ჭინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გიცეს განუსაზღვრელი ვადით.

ეკოლოგიური ექსპერტიზის
კომისიის თავმჯდომარე



ნანა გოგიტიძე
(საელი, გვარი, ხელმოწერა)